ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-17

2011 წლის 17 მარტი
ქ. ქობულეთი

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფუძნების შესახებ'' ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №142 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფუძნების შესახებ'' ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №142 განკარგულებით დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

2. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადმინისტრაციაში შედის:

ა) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი.

ბ) მთავარი ბუღალტერი.

გ) ბუღალტერი.

დ) მეთოდისტი.

ე) მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოებისა და კადრების აღრიცხვის საკითხებში.

ვ) მნე.

3. მე-6 მუხლს დაემატოს 5^1 პუნქტი:

,,5^1. მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოებისა და კადრების აღრიცხვის საკითხებში:

ა) ახორციელებს დირექტორის სამართლებრივი აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციის, ადრესატისათვის დროული მიწოდებისა და დადგენილი წესით შენახვის უზრუნველყოფას;

ბ) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ერთიანი საქმისწარმოების წესის სრული დაცვის უზრუნველყოფას;

გ) ახორციელებს კორესპოდენციების შესრულების ვადების დაცვის მონიტორინგის უზრუნველყოფას;

დ) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის, სისტემატიზაციის, ადრესატისათვის დროული მიწოდებისა და დადგენილი წესით შენახვის უზრუნველყოფას;

ე) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების არქივის წარმოების უზრუნველყოფას;

ვ) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკადრო საქმისწარმოების განხორციელების უზრუნველყოფას.

ზ) მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოებისა და კადრების აღრიცხვის საკითხებში ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე''.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**